ნარკოვითარების წლიური ანგარიში - 2022

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების კვლევა ზოგად მოსახლეობაში (GPS)

➢2022 წელს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრისა და დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის ალტერნატივა ჯორჯიას თანამშრომლობით ჩატარდა რიგით მეორე GPS-ს კვლევა. კვლევა საქართველოსა და EMCDDA-ს შორის ორმხრივი პროექტის EMCDDA4GE ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა;

➢მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, რომ მონაცემები განზოგადდეს 18-დან 64 წლამდე პირებზე.



დიაგრამაზე წარმოდგენილია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ბოლო 12 თვის განმავლობაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა (ESPAD)

➢ევროპაში ESPAD კვლევა ტარდება 1995 წლიდან, ხოლო საქართველოში ის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ორჯერ, 2015 და 2019 წლებში ჩატარდა;

➢კვლევის მიზანია 16 წლის სკოლის მოსწავლეებში შეისწავლოს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება;

➢მეთოდოლოგიიდან გამომდინარე შესაძლებელია შედეგების განზოგადება 16 წლის მოსწავლეებზე საქართველოში.



დიაგრამაზე წარმოდგენილია 16 წლის მოსწავლეებში ნარკოტიკული საშუალებების სიცოცხლის განმავლობაში მოხმარების პრევალენტობა საქართველოსა და ევროპაში (ESPAD-ში მონაწილე ევროპის ქვეყნების (N35) საშუალო მაჩვენებლები)

ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ქცევაზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევა ბიომარკერის კომპონენტით (IBSS)

➢2022 წელს IBSS კვლევა ჯანმრთელობის კვლევის კავშირმა ჩაატარა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დაკვეთით;

➢კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე შესაძლებელია კვლევის შედეგების განზოგადება ნარკოტიკების ინექციური მომხარებლების სრულ პოპულაციაზე.

დიაგრამებზე წარმოდგენილია ბოლო 30 დღეში ნიმ-ების მიერ ყველაზე ხშირად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებები და მოხმარების სიხშირე.



ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები

GHRN-ის მიერ ინფექციებზე სკრინინგის შედეგად გამოვლენილი ინციდენტობის მაჩვენებლები ნიმ-ებში

- 39,246 პირს ჩაუტარდა აივ ინფექციაზე სკრინინგტესტი - 14-ს დაუდასტურდა კონფირმაციულად - (0.04%);
- 24,866 პირს ჩაუტარდა C ჰეპატიტზე სკრინინგტესტი - 389-ს დაუდასტურდა კონფირმაციულად (1.6%);
- B ჰეპატიტზე ჩატარდა 32,468 სკრინინგტესტი - 729-ს დაუდასტურდა (2.2%);
- 29,632 პირს ჩაუტარდა სიფილისზე სკრინინგტესტი - 9-ს დაუდასტურდა (0.03%).

IBSS კვლევის შედეგების მიხედვით ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებში ინფექციების გავრცელების პრევალენტობა

- HIV დადებითი 0.9%;
- HCV დადებითი 31.1%;
- HBC დადებითი 2.5% (აცრილია 7.5%).

ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი

2022 წელს ნარკოტიკების მოხმარების შედეგად გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები



მკურნალობა და ზიანის შემცირება

- 2022 წელს სამკურნალო პროგრამებზე გამოყოფილი თანხა - 12,813,900 ლარი;
- აბსტინენციის პროგრამებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩართული პირების რაოდენობა - 1,261;
- ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობის პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობა - 17,646.




რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია
მობილური ამბულატორია
სიგმა აპარატი
ზიანის შემცირების ცენტრი
სოხუმი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ზუგდიდი
ბორჯომი
ბათუმი
ქუთაისი
ზესტაფონი
ბორჯომი
ბიდა ქართლი
ბორჯომი
ოზურგეთი
ბათუმი
ბაღდათი
ბაღდათი
ბაღდათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2022 წელს ამოღებული ნივთიერებები და მათი ფასი შავ ბაზარზე

16 დასახელების
ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება
საერთო წონა 10 კგ.

29 დასახელების
ნარკოტიკული საშუალება
საერთო წონა 3,106 კგ.

15 დასახელების
ფსიქოტროპული მედიკამენტი
საერთო წონა 3 კგ.

დიდი რაოდენობით ამოღებული ნივთიერებები

<u>ნარკოტიკები</u>

- კანაფის მცენარე - 2,806 კგ.
- გამომშარალი კანაფი - 212 კგ.
- ყაყაჩო - 62 კგ.
- ჰეროინი - 6.5 კგ.

<u>ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები</u>

- 4 CMC - 5.7 კგ.
- Alpha-PVP - 2.5 კგ.
- ჰარმინი - 1კგ.

<u>ფსიქოტროპული მედიკამენტები</u>

- კეტამინი - 1.5 კგ.
- პრეგაბალინი (ლირიკა) - 1.3 კგ.

ნარკოტიკული საშუალება	ფორმა	შსს	მანდალა
		ფასი ლარში	
კანაფი (გ)	გამომშ. მცენარე	-	60 – 120
	ფისი	-	110 - 200
ჰეროინი (გ)	ფხვნილი	150-200	350 - 400
მეთადონი (გ)	კრისტალი	1500-2000	700 – 800
	სითხე	-	50 - 100
სუბოტექსი (8 მგ.)	აბი	400-600	350 - 400
სუბოქსონი	აბი	-	150 - 250
კოკაინი (გ)	ფხვნილი	800-900	500 - 900
MDMA (გ)	კრისტალი	300 – 400	280 - 350
მეტამფეტამინი (გ)	კრისტალი	400-500	-
	ფხვნილი	-	350 - 400
ამფეტამინი (გ)	კრისტალი	500-600	-
	ფხვნილი	-	300 – 350
Alpha-PVP (გ)	კრისტალი	300-500	-
	ფხვნილი	-	300 - 400

2022 წელს ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის სტატისტიკა

2019-2022 წლებში რაიონული სასამართლოების მიერ სასკ-ის 45-ე და 45[1] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის გამოტანილი დადგენილებების რაოდენობა



2019-2022 წლებში ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ გამოყენებული სასჯელის ფორმების სტატისტიკა